საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არჩილ სტეფანოზის ძე

არჩილ სტეფანოზის ძე, ქართლის ერისმთავარი VIII ს-ში, „ქართლის ცხოვრებაში“ (ჯუანშერი) იხსენიება მეფედ. იმავე წყაროს ცნობით, მის საბრძანებელში შედიოდა ეგრისიც, ხოლო აფხ. ერისთავი ლეონ I მისი ყმადნაფიცი გახდა VIII ს. 30-იან წლებში **ა.** თავის უფროს ძმასთან მირთან ერთად მონაწილეობას იღებდა ანაკოფიის ბრძოლაში მურვან ყრუს წინააღმდეგ. იმავე წყაროში **ა.** ს მიეწერება მნიშვნელოვანი რეფორმა, რ-ითაც მან ქვეყნის ნახევარი ერისთავებს გადასცა სამკვიდროდ და სამამულოდ, ხოლო ნახევარი სამეფო საკუთრებად დაიტოვა. შემდეგ **ა**-მა თავის ტაძრეულებს კახეთში უბოძა მიწები და „აზნაურ ყვნა იგინი“, **ა**-ს ჯუანშერი მიაწერს ეკლესიის, ციხეებისა და ციხე-ქალაქის შენებას ჰერეთ-კახეთში, მას იძულებით მოუნათლავს ქრისტიანებად ნუხპატელები. **ა.** წამებით მოკლა არაბთა დამსჯელი რაზმის სარდალმა ასიმმა, რადგან უარი თქვა მაჰმადიანობის მიღებაზე. მისი წამების ამბავი VIII ს-შივე დაიწერა, ხოლო XI ს-ში გადაამუშავა და განავრცო ლეონტი მროველმა.

წყარო: ლეონტი მროველი, წამება წმიდისა და დიდებულის მოწამისა არჩილისი..., წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ა. ბოგვერაძე